ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.04.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/14

შეკითხვა:

ლ-ს გაფომრებული ჰქონდა მინდობილობა ც-ს სახელზე, რომლის მიხედვითაც ც-ს შეეძლო ლ-ს უძრავი ქონების განკარგვა. ც-მ მიმართა ადვოკატ გ-ს, რათა საადვოკატო მომსახურება გაეწია ლ-ს სადავო საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა ლ-ს უძრავი ქონების გაყიდვას. ც-მ ადვოკატ გ-ს სახელზე ლ-ს საქმესთან დაკავშირებით გააფორმა მინდობილობა გადანდობის უფლებამოსილების საფუძველზე. ადვოკატ-გ-მ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე გასწია საადვოკატო მომსახურება.

2013 წელს ადვოკატ-გ-მ შეიტყო, რომ მინდობილობა, რომელიც გაფორმებული ჰქონდა ლ-ს ც-ს სახელზე იყო ყალბი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროკურატურას სურს ადვოკატი გ დაკითხოს მოწმის სახით. კერძოდ, პროკურატურას გაანდოს ინფორმაცია თავისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი გ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:
1. ადვოკატი ვალდებულია:
ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;
ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:
1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
ა) კლიენტის წინააღმდეგ;
ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.
4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, დოკუმენტის გაყალბების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატმა გ-მ უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე კლიენტი განაცხადებს თანხმობას. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე ც-ს აღარ უწევს ადვოკატი გ იურიდიულ მომსახურებას, ის ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაიცვას გასული დროის მიუხედავად, რადგან კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

დასკვნა:

ადვოკატმა უნდა დაიცვას საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია გასული დროის მიუხედავად. ამდენად. ადვოკატ გ-მ კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს კლიენტის თანხმობის შემთხვევაში.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.